20.07.2022

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2022 წლის ივნისი

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 2.2 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 1.9 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 17.7 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 22.2 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 4.0 პროცენტით. ამასთან, სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 13.7 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 1.4 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის ივნისში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**117.7**	**17.66**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**86.3**	**-2.66**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**122.2**	**20.19**
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	274.3	14.65
24	ძირითადი ლითონები	134.6	8.51
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**98.6**	**0.03**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**104.0**	**0.10**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.07.2022

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge